თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

პარასკევი
12 აპრილი
1940 წ.
№ 85 (5786)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკანდინავიის უკანასკნელი ამბების გამო

სკანდინავიაში ამბები ვითარდებიან. სკანდინავიის ქვეყნების ნეიტრალურ წყლებში ინგლისისა და საფრანგეთის შეჭრის შემდეგ, რის მიზანიც იყო გერმანიის სამხედრო პოზიციების დასუსტება, და გერმანიის მხრით კონტრღონისძიებათა მიღების შემდეგ, დანია და ნორვეგია აღმოჩნდნენ იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ასე თუ ისე მიმხრობოდნენ გერმანიას. გერმანიის ჯარებმა დაიკავეს დანია, დანიასა და შვეციას შორის მდებარე სრუტეები, ნორვეგიის ძირითადი ნავსადგურები. ამბებს ჯერ თავისი ლოგიკური დასასრულისათვის არ მიუღწევიათ, — ამისათვის საჭიროა დრო, — მაგრამ ახლაც შეგვიძლია ზოგიერთი უდავო დასკვნა გამოვიტანოთ ევროპაში შექმნილი ახალი ვითარებიდან.

უწინარეს ყოვლისა ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ გერმანიის მოქმედება ამ შემთხვევაში იძულებითი იყო. უეჭველია, რომ დანიასა და ნორვეგიაში გერმანიის ჯარების შესვლა გამოიწვია ინგლისისა და საფრანგეთის აღრინდელმა მოქმედებამ, რაც გამოიხატა სკანდინავიის ქვეყნების ნეიტრალიტეტისა და, მაშასადამე, მათი სუვერენიტეტის დარღვევით, ნორვეგიის ნეიტრალური წყლების დანაღმვით, სკანდინავიის ქვეყნებიდან გერმანიაში მადნისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაზიდვის აკრძალვით, საომარი მოქმედების სკანდინავიაში გადატანის პოლიტიკით, — მაშასადამე, გერმანიის ჯარის ზურგში მოქცევის პოლიტიკით. ინგლისსა და საფრანგეთს უნდოდათ შეესუსტებინათ გერმანიის სამხედრო პოზიციები და მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ თავიანთი საკუთარი პოზიციები. გერმანია, არ სურდა რა უარეს მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, იძულებული აღმოჩნდა თავისი კონტრღონისძიებანი მიეღო.

შემდეგ, ეჭვს გარეშეა, რომ დანიასა და ნორვეგიაში თავისი მდგომარეობის განმტკიცებით გერმანიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი სამხედრო-სტრატეგიული და სამეურნეო პოზიციები და ასევე მნიშვნელოვნად შეასუსტა საფრანგეთისა და ინგლისის პოზიციები ახლანდელ ომში. იმ გარემოებამ, რომ გერმანიის ხელში გადავიდნენ ნარვიკი, ტრონჰეიმი, ბერგენი, იუტლანდია და შვეციასა და დანიას შორის მდებარე სრუტეები, ძირიანად შესცვალა მდგომარეობა ჩრდილოეთის ზღვაში. გერმანიის შეიარაღებული ძალები უშუალოდ დაუახლოვდნენ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზებსა და სამრეწველო რაიონებს. გერმანიის საავიაციო ძალებმა ახალი, მოულოდნელი შესაძლებლობანი მიიღეს. ჩრდილო შოტლანდიის წყლებში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დამშვიდებულად ყოფნას აღსასრული დაუდგა. გერმანიამ კონტინენტზე მყოფი თავისი ჯარის ზურგი უზრუნველჰყო ინგლისელებისა და ფრანგების მხრით დარტყმისაგან.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გერმანიის სამეურნეო პოზიციებიც ინგლისის პოზიციების საზიანოდ. წინათ სკანდინავიის ხე-ტყე, სკანდინავიის სასურსათო პროდუქტები და აგრეთვე რკინის მადანი ინგლისში გაჰქონდათ. ახლა ისინი ექსპორტირებული იქნებიან გერმანიაში. ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ გერმანიის ორბიტში აღმოჩნდა შვეციაც, რომლის გასასვლელიც ჩრდილოეთის ზღვასა და ატლანტიკაში ახლა გერმანიის ხელში იმყოფება და რომელსაც არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ახლა გერმანიის ინტერესებს.

ამბობენ, რომ სკანდინავიაში თავისი მოქმედებით გერმანიამ დაარღვია საერთაშორისო სამართლის პრინციპები, რომ მან ქაღალდის ნაგლეჯად აქცია დანიასთან დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და სხვა. მაგრამ ახლა იაფფასიანი წუწუნი სკანდინავიაში გერმანიის მოქმედების კანონზომიერებისა თუ არაკანონზომიერების შესახებ, მას შემდეგ, რაც ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიის ინტერესების საზიანოდ სკანდინავიის ქვეყნების სუვერენიტეტი დაარღვიეს და ამით გერმანიის კონტრღონისძიებანი გამოიწვიეს, — თავისი თავის სასაცილო მდგომარეობაში ჩაგდებასა ნიშნავს. ომს თავისი ლოგიკა აქვს, რომელიც ყოველგვარ სხვა ლოგიკაზე უფრო ძლიერია. თუ ერთი მეომარი მხარე ისეთ ზომებს ხმარობს, რომლებიც მიზნად ისახავს მეორე მეომარი მხარის ჩახრჩობას, ამ უკანასკნელს არ შეუძლია გულხელდაკრეფილი იჯდეს, თუ კი მას თვითმკვლელობა არ სურს.

თავის თავად გამოდის აგრეთვე დასკვნა იმ მცირე ქვეყნების „აბსოლუტური ნეიტრალიტეტის“ შესახებ, რომლებიც დიდი მეომარი ქვეყნების მახლობლად და მათი მოქმედების გზებზე მდებარეობენ. როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, „აბსოლუტური ნეიტრალიტეტი“ ფანტაზია არის, თუ კი არ არის რეალური ძალა, რომელსაც მისი დაცვა შეუძლია. მცირე ქვეყნებს კი სწორედ ეს ძალა აკლიათ. უგუნურება იქნება იმის ფიქრი, რომ დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს ისეთი ვითარება, როდესაც დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებენ, ხოლო მცირე ქვეყნები ნეიტრალიტეტის ბაირაღს ეფარებიან და ამ ომით მდიდრდებიან. უნდა აღვიაროთ, რომ ომი ამცირებს იმ პატარა ქვეყნების შანსებს, რომელთაც სურთ დარჩნენ ნეიტრალურად და დამოუკიდებლად, უკიდურეს მინიმუმამდე დაჰყავს ეს შანსები. ამიტომ ზოგიერთი მცირე ნეიტრალური ქვეყნის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ომის წარმოებასა და გაჩაღებას, — არ შეიძლება სხვანაირად შევაფასოთ, თუ არა როგორც თვითმკვლელობის პოლიტიკა.

საინტერესოა აგრეთვე ის დასკვნა ინგლისისა და საფრანგეთის მხრით ფინეთისადმი „დახმარების“ შესახებ, რომელიც გამომდინარეობს სკანდინავიაში მომხდარი უკანასკნელი ამბების მსვლელობიდან. ახლა ცხადია, თუ რა „დახმარება“ იყო ეს და რა მიზანს ისახავდა იგი. ჩემბერლენი ირწმუნებოდა, რომ მას გამზადებული „საექსპედიციო კორპუსი“ ჰყავს ფინეთის დასახმარებლად სსრ კავშირის წინააღმდეგ. თავის მხრივ დალადიე ირწმუნებოდა, რომ მასაც ჰყავს „კორპუსი“ ფინეთის დასახმარებლად სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამ ჯენტლმენებს აკლდათ მხოლოდ ერთი რამ — ნორვეგიაზე და შვეციაზე ამ „კორპუსების“ გატარების უფლება. უეჭველია, რომ ამ ყბადაღებულ „კორპუსებს“, თუ მათ ფინეთამდე მიღწევის ამოცანა ჰქონდათ, რაშიაც უფლება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ, შეეძლოთ ნამდვილად მიეღწიათ ფინეთამდე სულ ცოტა 2-3 თვეში, როცა ფინეთის თეთრგვარდიელნი უკვე საბოლოოდ განადგურებული იქნებოდნენ საბჭოთა ჯარების მიერ. მაშასადამე, ეს „კორპუსები“ აუცილებლად უნდა ჩარჩენილიყვნენ ნორვეგიასა და შვეციაში, რისთვის? იმისთვის, რომ დაეკავებინათ შვეციისა და ნორვეგიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, ჩაეთრიათ ეს ქვეყნები ომში და შეექმნათ ახალი ფრონტი გერმანიის წინააღმდეგ. მაშასადამე, ინგლისსა და საფრანგეთს ბოლშევიკებთან ბრძოლის საბაბით, სსრ კავშირთან ბრძოლისა და ფინეთის „დაცვის“ ლოზუნგით სწადდათ დამკვიდრებულიყვნენ სკანდინავიაში გერმანიის საწინააღმდეგო ომის გასაფართოებლად. საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულების დადებამ ეს მახინაცია ჩაფუშა და აიძულა ინგლისი და საფრანგეთი ჩამოეგლიჯათ ფინეთის „დაცვის“ ნიღაბი, „მსოფლიო ბოლშევიზმთან“ ბრძოლის ნიღაბი. ხოლო როცა მათ ხელსაყრელი ნიღაბი ჩამოეხადათ, ისინი იძულებული გახდნენ პირდაპირ და აშკარად დაესვათ საკითხი ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მიერ ნორვეგიის ნეიტრალური წყლების დაკავების შესახებ, სკანდინავიიდან გერმანიაში საქონლის შეზიდვის შეწყვეტისა და, მაშასადამე, ომში სკანდინავიის ჩათრევის შესახებ. ფინეთისათვის „დახმარებაზე“ უკვე აღარ ლაპარაკობდნენ, ვინაიდან იგი, ეს „დახმარება“ საჭირო იყო მხოლოდ შენიღბვისათვის, სანამ ამ შენიღბვის შესაძლებლობა არსებობდა. გერმანიის საწინააღმდეგო ომის გაფართოების შესახებ ახლა უკვე ლაპარაკი იყო აშკარად და უნიღბოდ, რომელიც მათ ხელიდან საბჭოთა კავშირმა გააგდებინა.

ეს ახლა უდავოა.

„იზვესტიას“ მოწინავე, 11/IV

ვ. ი. ლენინის დაბადების 70 წლისთავისათვის

მოსკოვის მშრომელნი გაცხოველებით ემზადებიან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 70 წლისთავისათვის. ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისრის 1-ლ სახელმწიფო ქარხნის პარტკომი აწყობს კონსულტაციას აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის, რომლებიც საამქროებში და მუშათა სახლებში გამართავენ საუბრებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. გამოყოფილია მომხსენებელთა დიდი ჯგუფი პარტიული აქტივის წრიდან; ისინი მომსახურებას გაუწევენ მუშათა კრებებს, რომლებიც მიეძღვნება ვლადიმერ ილიას-ძის დაბადების 70 წლისთავს. ქარხნის ბიბლიოთეკამ დაამზადა დიდი გამოფენა.

მოსკოვის ქარხანა „კალიბრის“ პარტკაბინეტი აწყობს კონსულტაციას აგიტატორებისათვის. საამქროებსა, განყოფილებებსა და ყოფილ საარჩევნო უბნებში გაიმართება საუბრები ლენინის შესახებ. საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლის ბიბლიოთეკა აწყობს ლენინის ნაწარმოებთა გამოფენას და ფოტოგამოფენას. ჩატარდება ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახები მასალების ხმამაღლა კითხვა.

მოსკოვის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისტორიის ჩერნიშევსკის სახელობის ინსტიტუტის 130 აგიტატორი გამართავს საუბრებს ლენინის შესახებ სოკოლნიკის რაიონის მოსახლეობაში. აგიტატორების უმრავლესობა უკვე შეუდგა მუშაობას. ინსტიტუტში ეწყობა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი გამოფენა. სურათებით, პორტრეტებითა და ისტორიული დოკუმენტებით ასახული იქნება ვლადიმერ ილიას-ძის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები, მშრომელთა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მეგობრობა, ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები. 19 აპრილს შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის საერთო-საინსტიტუტო ღია სხდომა, ვ. ი. ლენინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი. მოხსენებას თემაზე „ლენინისა და სტალინის დიადი თანამეგობრობა“ წაიკითხავს პროფესორი მოსკალევი.

მოხსენებებით გამოვლენ აგრეთვე პროფესორები: გურევიჩი, იუდოვსკი, პოპოვი და სხვები. დიალექტიკური მატერიალიზმისა და ფილოსოფიის ისტორიის კათედრების ღია სხდომაზე 20 აპრილს წაკითხულ იქნება მოხსენებანი: „ლენინი და დიალექტიკური მატერიალიზმი“, „ლენინი და ფილოსოფიის ისტორია“ და სხვ. (საკდესი).

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის საქალაქო აქტივის კრება

11 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის საქალაქო აქტივის კრება.

საკ. ალკკ ც. კ-ის X პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი.

საკ. ალკკ X პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე თბილისის სკოლებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. სასწავლო წლის მესამე მეოთხედში იმ მოწაფეთა რაოდენობა, რომლებიც ვერ ასწრებდნენ, 24 ათასიდან 8 ათასამდე შემცირდა. 4500 მოსწავლე შეემატა ფრიადოსანთა რიგებს; რკინიგზის მესამე სკოლაში მოწაფეთა მოსწრება 96,4 პროცენტს უდრის. აქ არცერთ კომკავშირელს არა აქვს ცუდი ნიშანი.

მაგრამ მუშაობა ჯერ კიდევ ყველა სკოლას არ გარდაუქმნია. მე-71 სკოლაში 1411 მოსწავლიდან 433 ვერ ასწრებს. ამ სკოლის მე-X კლასში თითქმის ყველა კომკავშირელია, მაგრამ ეს კლასი მოსწრებისა და დისციპლინის მხრივ ძალიან ჩამორჩენილია. ცუდია მოსწავლეთა მოსწრება და დისციპლინა მე-104, მე-2 და სხვ. სკოლებში.

აქტივმა პრაქტიკული ღონისძიებანი დასახა მუშაობის შემდგომი გასაუმჯობესებლად. (საქდესი).

ს ა კ დ ე ს ი უ ა რ ყ ო ფ ს

ამერიკული გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ბერლინელმა კორესპონდენტმა გადასცა ცნობა, რომ „გერმანიის ჯარების უმეტესობა, რომელმაც ოკუპაცია უყო ნარვიკს, ჩავიდა რკინიგზით ლენინგრადსა და მურმანსკზე გავლით“.

საკდესს რწმუნება აქვს განაცხადოს, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ეს ცნობა სრულებითაც არ შეეფერება სინამდვილეს და წარმოადგენს პროვოკაციულ ჭორს.

ვ. ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

ლენინგრადი, 9 აპრილი (საკდესი). დღეს დამთავრდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის სესია, ვ. ვ. მაიაკოვსკის სიკვდილის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი. სესიამ მოისმინა პროფესორების ბ. მ. ეიხენბაუმის, გ. ა. გუკოვსკის, ა. ლ. დიმშიცის, ო. ვ. ცეხნოვიცერის და სხვათა მოხსენებანი ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის შემოქმედების შესახებ. მოხსენებებში ასახული იყო მაიაკოვსკის შემოქმედების ძირითადი ეტაპები, მისი სტილის პრობლემები, მისი მუშაობა ლენინის სახის შექმნაზე.

სესიის უკანასკნელი სხდომისათვის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში მოხდა საზეიმო გახსნა გამოფენისა „ვლადიმერ მაიაკოვსკი“. გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი საინტერესო ექსპონატი.

გამოფენის სპეციალური განყოფილებანი მიძღვნილია მაიაკოვსკის მოღვაწეობისადმი თეატრში, კინოში, ცირკში, მისი პოემებისადმი, საბავშვო წიგნაკებისადმი და სხვ.

ყურადღებას იპყრობს განყოფილება, რომელშიც მოთავსებულია როსტის დეპეშათა სააგენტოს „სატირის ფანჯრები“ მაიაკოვსკის მიერ დახატული და ხელმოწერილი პლაკატებითურთ.

შემოდგომაზე გამოფენა გადაქცეული იქნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის მუზეუმის მუდმივ განყოფილებად.

ვ. ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის საღამო

14 აპრილს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გამართავს საიუბილეო საღამოს, რომელიც მიეძღვნება საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავს.

საღამოზე წაკითხული იქნება მოხსენება პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. სიტყვებით და მოგონებებით მაიაკოვსკის შესახებ გამოვლენ ლიტერატორები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, საზოგადოებრივ კულტურულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ქართველი პოეტები წაიკითხავენ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ თავიანთ ლექსებსა და აგრეთვე მაიაკოვსკის ლექსების თარგმანს ქართულად.

რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობები წაიკითხავენ ვ. მაიაკოვსკის ლექსებს.

(საქდესი).

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციისათვის (ძირითადი კანონისათვის) 29-ა და 29-ბ მუხლების დამატებისა და 22. 23. 27, 28. 29 და 77 მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს აშხაბადის, კრასნოვოდსკის, მარის, ტაშაუზის და ჩარჯოუს ოლქების შექმნა თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციას დაემატოს მუხლი 29-ა და მიღებულ იქნას იგი შემდეგნაირად:

„მუხლი 29-ა. თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება აშხაბადის, კრასნოვოდსკის, მარის, ტაშაუზის და ჩარჯოუს ოლქებისაგან“.

2. დამტკიცდეს ფრუნზეს, ისიკ-ყულის, ტიან-შანის, ჯალალ-აბადისა და ოშის ოლქების შექმნა ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციას დაემატოს მუხლი 29-ბ და მიღებულ იქნას იგი შემდეგნაირად:

„მუხლი 29-ბ. ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ჯალალ-აბადის, ისიკ-ყულის, ოშის, ტიან-შანისა და ფრუნზეს ოლქებისაგან“.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გარდაიქმნა მოკავშირე კარელიის - ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად და პერმის ოლქს ეწოდა მოლოტოვის ოლქი, შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება სსრ კავშირის კონსტიტუციის 22 მუხლში და მიღებულ იქნას იგი შემდეგნაირად:

„მუხლი 22. რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: ალტაის, კრასნოდარის, კრასნოიარსკის, ორჯონიკიძის, პრიმორიეს და ხაბაროვსკის მხარეებისაგან; არხანგელსკის, ვოლოგდის, ვორონეჟის, გორკის, ივანოვოს, ირკუტსკის, კალინინის, კიროვის, კუიბიშევის, კურსკის, ლენინგრადის, მოლოტოვის, მოსკოვის, მურმანსკის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ორიოლის, პენზის, როსტოვის, რიაზანის, სარატოვის, სვერდლოვსკის, სმოლენსკის, სტალინგრადის, ტამბოვის, ტულის, ჩელიაბინსკის, ჩიტის, ჩკალოვის, იაროსლავლის ოლქებისაგან; თათართა, ბაშკირეთის, დაღისტნის, ბურიატ-მონღოლეთის, ყაბარდო-ბალკარეთის, ყალმუხეთის, კომის, ყირიმის, მარის, მორდოვეთის, ვოლგისპირა გერმანელების, ჩრდილოეთ-ოსეთის, უდმურტეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისაგან; ადიღეს, ებრაელთა, ყარაჩაის, ოიროტთა, ხაკასეთის, ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქებისაგან“.

4. დამტკიცდეს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ვოლინის, დროგობიჩის, ლვოვის, როვნოს, სტანისლავის და ტარნოპოლის ოლქების შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 23 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგნაირად:

„მუხლი 23. უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: ვინიცის, ვოლინის, ვოროშილოვგრადის, დნეპროპეტროვსკის, დროგობიჩის, ჟიტომირის, ზაპოროჟიეს, კამენეც-პოდოლსკის, კიევის, კიროვოგრადის, ლვოვის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, როვნოს, სტალინის, სტანისლავის, სუმის, ტარნოპოლის, ხარკოვის და ჩერნიგოვის ოლქებისაგან და მოლდავეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან“.

5. დამტკიცდეს ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში სტალინაბადის, ლენინაბადის, ყულიაბისა და გარმის ოლქების შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 27 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგნაირად:

„მუხლი 27. ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: გარმის, ყულიაბის, ლენინაბადის, სტალინაბადის ოლქებისაგან და მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქისაგან“.

6. დამტკიცდეს კაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში სემიპალატინსკის, აკმოლინსკისა და ჯამბულის ოლქების შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 28 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგნაირად:

„მუხლი 28. კაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აკმოლინსკის, აქტიუბინსკის, ალმა-ატის, აღმოსავლეთ კაზახეთის, გურიევის, ჯამბულის, დასავლეთ კაზახეთის, ყარაგანდის, ყზილ-ორდის, კუსტანაის, პავლოდარის, ჩრდილოეთ კაზახეთის, სემიპალატინსკის, სამხრეთ კაზახეთის ოლქებისაგან“.

7. დამტკიცდეს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ბარანოვიჩის, ბელოსტოკის, ბრესტის, ვილეიკისა და პინსკის ოლქების შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 29 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგნაირად:

„მუხლი 29. ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: ბარანოვიჩის, ბელოსტოკის, ბრესტის, ვილეიკის, ვიტებსკის, გომელის, მინსკის, მოგილიოვის, პინსკის და პოლესიეს ოლქებისაგან“.

8. დამტკიცდეს საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების შექმნა: სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა; სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგნაირად:

„მუხლი 77. საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან სახალხო კომისარიატები:

თავდაცვისა;
საგარეო საქმეთა;
საგარეო ვაჭრობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
საზღვაო ფლოტისა;
სამდინარო ფლოტისა;
ქვანახშირის მრეწველობისა;
ნავთის მრეწველობისა;
ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობისა;
შავი მეტალურგიისა;
ფერადი მეტალურგიისა;
ქიმიური მრეწველობისა;
საავიაციო მრეწველობისა;
გემთმშენებლობის მრეწველობისა;
საომარი მასალისა;
შეიარაღებისა;
მძიმე მანქანათმშენებლობისა;
საშუალო მანქანათმშენებლობისა;
საერთო მანქანათმშენებლობისა;
სამხედრო-საზღვაო ფლოტისა;
დამზადებათა;
მშენებლობისა“.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1940 წ. 4 აპრილი.

„უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ოლქების გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 4 დეკემბრის ბრძანებულება „უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ოლქების გამიჯვნის შესახებ“.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 4 აპრილი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

მშენებლობის სახალხო კომისრად— სიმონ ზაქარიას-ძე **გინზბურგი.**

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად—გიორგი ანდრიას-ძე **მიტერევი.**

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად—ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩი.**

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრად—ვასილ ვასილის-ძე **ვახრუშევი.**

სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრად—ალექსი ივანეს-ძე **შახურინი.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ — მიხეილ ბორისის-ძე **ხრაპჩენკო.**

დამზადებათა სახალხო კომისრად — ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **დონსკოი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 4 აპრილი.

უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ც ნ ო ბ ე ბ ი

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 11 აპრილი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

„დასავლეთში არავითარი განსაკუთრებული რამ არ მომხდარა. არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა და საჰაერო თავდაცვის მოქმედების მიუხედავად, გერმანიის ავიაცია განაგრძობდა თავის საზვერავ ფრენას შუა და ჩრდილო საფრანგეთში. 10 აპრილს შუადღემდე მოხდა გერმანიის ჯარის დაუბრკოლებლივი გადასხმა ბორნჰოლმში. სხვამხრივ დანიაში მომქმედი ჯარის გაერთიანებებისათვის დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. 10 აპრილის განმავლობაში გერმანიის ჯარი ნორვეგიაში განაგრძობდა დაკავებულ პუნქტებში გეგმაზომიერ დამკვიდრებასა და ამ პუნქტების გაფართოებას. 10 აპრილს დილით გერმანიის ჯარმა დაიკავა ელვერუმი (25 კილომეტრზე ხამარის აღმოსავლეთით). ოსლოში სრული სიმშვიდე სუფევს. ფიორდოსლოს ყველა სიმაგრე გერმანელების ხელშია და ისევე, როგორც ნორვეგიის ყველა დანარჩენი სანაპირო სიმაგრე, მომზადებულია თავდაცვისათვის. ნორვეგიის ჯარის ნაწილებმა ოსლოში განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ინგლისისა და საფრანგეთის ავიაციის საწინააღმდეგო საჰაერო ოპერაციებში. ინგლისის სამხედრო საზღვაო ძალები ცდილობდნენ ნარვიკის ნავსადგურში შესვლას. წარმატებითი ოპერაციების დროს მოსპობილ იქნა მტრის 3 საესკადრო ნაღმოსანი, ერთი საესკადრო ნაღმოსანი ძლიერ დაზიანებულია. გერმანიის ჯარისათვის მაშველი ძალების გადაყვანა ნორვეგიაში გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. წინააღმდეგ ინგლისის ცნობებისა ბერგენი და ტრონჰეიმი გერმანელების ხელშია. გერმანიის ავიაცია მტერს მხოლოდ ორ პუნქტში შეეჯახა, რადგან ცუდი ხილვადობა მტრის აღმოჩენას ხელს უშლიდა. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ინგლისის ერთ საესკადრო ნაღმოსანს. სკაპა-ფლოუს რაიონში გერმანიის ავიაციამ დააზიანა ერთი საზენიტო ბატარია და პროჟექტორი, რომელიც მას მომსახურებას უწევდა. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა რამდენჯერმე, მაგრამ უშედეგოდ მიიტანეს იერიში გერმანიის საზვერავ თვითმფრინავებზე. შოტლანდიის კუნძულებთან ჩამოგდებულია ინგლისის ერთი ავიაგამანადგურებელი „ჰოუკერ ჰარიკენის“ ტიპისა. გერმანიის ორი თვითმფრინავი თავიანთ ბაზაში არ დაბრუნებულა. გერმანიის ავიაგამანადგურებელთა შენაერთები პატრულირობდნენ ნორვეგიისა და აგრეთვე დანიის დასავლეთ სანაპიროს და ხელს უშლიდნენ მტრის ავიაციის თავდასხმას. მოწინააღმდეგის თვითმფრინავები აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროზე. სტავანგერში გერმანიის საავიაციო ნაწილების მიერ დაკავებულ აეროდრომზე უშედეგო იერიში მიიტანეს ინგლისის თვითმფრინავებმა“.

○

ბერლინი, 11 აპრილი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

„რეიტერისა და ჰავასის სააგენტოებმა 10 აპრილს ღამით სენსაცია მოახდინეს თავიანთი ცნობებით ინგლისის ჯარის მიერ ტრონჰეიმისა და ბერგენის დაკავების შესახებ. ამ უაზრო ცნობების უარყოფა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამ ყალბ ცნობებს საუკეთესოდ უარყოფენ თვით სინამდვილის უდავო ფაქტები. ინგლისის სიცრუეს მხოლოდ 3 საათს ჰქონდა გასავალი. რეიტერისა და ჰავასის სააგენტოებმა 11 აპრილს დილით თვითონვე უარჰყვეს იგი“.

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 11 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლონდონში არ დასტურდება ხმები ინგლისის ჯარების მიერ ბერგენისა და ტრონჰეიმის დაკავების შესახებ.

საჰაერო საფრთხის მდგომარეობა შვეციაში

სტოკჰოლმი, 11 აპრილი (საკდესი). გუშინ შუადღისას მთელს შვეციაში გამოცხადდა საჰაერო საფრთხის მდგომარეობა.

საზღვაო ბრძოლა სკაგერაკთან

ნიუ-იორკი, 11 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, რომ საზღვაო ბრძოლაში სკაგერაკის მახლობლად მონაწილეობას იღებს გერმანიის სულ ცოტა 10 სამხედრო გემი და ტრანსპორტი, აგრეთვე ინგლისის მრავალი სამხედრო გემი და თვითმფრინავი.

რეიტერის სააგენტო ნორვეგიის მთავრობის ადგილსამყოფელის შესახებ

ლონდონი, 11 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ გაზეთ „დაგენს ნიუხეტერის“ კორესპონდენტის ცნობით, 9 აპრილს ხამარში შესდგა სტორტინგის სხდომა, რის შემდეგაც ნორვეგიის მთავრობა გაემგზავრა გაურკვეველი მიმართულებით.

სამხედრო ღონისძიებანი ჰოლანდიაში

ბრიუსელი, 11 აპრილი (საკდესი). გაზეთ „სუარის“ კორესპონდენტი ამსტერდამიდან იუწყება: „ჯარში შვებულების აკრძალვის გარდა, ჰოლანდიამ მიიღო მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომლებიც შვებულებაში მყოფ ჯარისკაცებს ჯარში დაბრუნებას უადვილებენ. რკინიგზებზე მკვეთრად შემცირდა სამგზავრო მატარებლების მოძრაობა. რკინიგზის ტრანსპორტის გარდა მობილიზებულია ავტობუსთა ნაწილი. ჰოლანდიის გაზეთები მოსახლეობას მიმართავენ მოწოდებით არ მიეცეს პანიკას და აღნიშნავენ, რომ „ჰოლანდიას საკმაოდ გამაგრებული პოზიციები აქვს“.

საყოველთაო მობილიზაციის შეჩერება ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 11 აპრილი (საკდესი). ნორვეგიის რადიომ 10 აპრილს გამოაქვეყნა კვისლინგის მთავრობის განკარგულება ნიუგორდსვოლდის მთავრობის მიერ გამოცხადებული საყოველთაო მობილიზაციის შეჩერების შესახებ.

ნორვეგიის 2 სამხედრო გემის ჩაძირვა

ნიუ-იორკი, 11 აპრილი (საკდესი). იმოწმებს რა რეიტერის სააგენტოს, ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ, შვედური გაზეთის „სოციალ-დემოკრატენის“ მიერ გამოქვეყნებული ცნობებით, გერმანელებმა ნარვიკში ჩასძირეს ნორვეგიის 2 ყველაზე დიდი სამხედრო გემი „ნორგე“ და „ეიდსვოლდი“. თითოეული მათგანის წყალწყვა 4.166 ტონას უდრიდა.

1905 წელი თელავში

შორეულ წარსულიდან

კახელებმა წერილი მისწერეს კავკასიის მთავარმართებელს. ამ წერილის შინაარსს შორეულ წარსულში გადავყავართ, იგი კახეთის 1812 წლის ამბოხებას შეეხება.

> „მთელი კახეთის თემი, მთასა და ბარში მცხოვრებელნი,—მოგახსენებთ, რომ წიგნის ხალხი არა ვართ...
>
> ...ეგზეკუციისა და ხიშტების საშუალებით მიგქონდათ რაც რამ გვებადა, გვიკლებდით ცოლშვილსა, საზრდო პური მოგვტაცეთ და შიმშილითა გვხოცავდით და ნუგეშით გვეუბნებოდით — ბალახი სძოვეთო. არა, ქორფა ბავშვმა როგორ უნდა სძოვოს, სად გაგონილა?..
>
> ...გათავდა ყველაფერი. გადავწყვიტეთ სიკვდილი და დავიხოცებით კიდეც".

ისინი სიმართლეს ეძებდნენ, მაგრამ სიმართლე და კანონიერება მაშინდელ რუსეთში არ არსებობდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე 1837 წელს რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ როცა შეწუხებულ და ილაჯგაწყვეტილ კახელებს მიუმართნიათ მეფის მოხელეებისათვის—ნუ გვაწუხებთ, ან ღმერთი ან მეფე მოიგონეთო, მათგან ასეთი პასუხი მიუღიათ: გასწით, წაეთრიეთ, რას დაგვაკლებთ. **„И до Бога высоко и до Царя далеко"**. ამის შემდეგ ეს თქმა ხალხში ანდაზად დარჩენილა.

უკიდურესობამდე მიყვანილი და შევიწროებული კახელი გლეხობა ძალით ეძებდა სამართლიანობას, იგი არა ერთხელ აჯანყებულა მემამულეებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. ბატონყმობის წინააღმდეგ კახელი გლეხობის თავგანწირულმა ბრძოლამ, ისე როგორც მთელი რუსეთის გლეხობის ბრძოლამ, შეაშინა მეფის მთავრობა, გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, „ბუნტები", გახდნენ ბატონყმობის გაუქმების ერთერთი მიზეზთაგანი.

ბატონყმობა გადავარდა. მაგრამ მერე რა? მოხდა გლეხების განთავისუფლება... მიწისაგან. „თურმე გატყუებდნენ — მიმართავდა ამხანაგი სტალინი 1905 წელს ქართლ-კახეთის გლეხკაცობას, — თვალებს გიხამდნენ და ახალ ბორკილებს გიმზადებდნენ!" გლეხობის მდგომარეობა უფრო მძიმე შეიქმნა, იგი წინანდებურად რჩებოდა სიღარიბისა და შიმშილის კერად. „1861 წელმა—სწერდა ლენინი—წარმოშვა 1905 წელი".

„ძმობა-ერთობა" გულგულაში

1905 წლის რევოლუციის ამბებმა სოფ. გულგულამდისაც მიაღწია. სოფ. გულგულა სამი კილომეტრით თუ იქნება დაშორებული ქ. თელავიდან. ყველგან ლაპარაკობდნენ ძმობისა და სამართლიანობის დამყარებაზე. ამ საქმის ხელმძღვანელობა სოფ. გულგულაში იკისრა ი. კოლელიშვილმა. იგი განათლებული ადამიანი ყოფილა, უმოგზაურნია საფრანგეთში.

ი. კოლელიშვილს სოფ. გულგულაში დიდი მამული ჰქონდა, ჰყავდა მოჯამაგირეებიც. მაგრამ იგი არ იყო კმაყოფილი თავისი მდგომარეობით, ის ოცნებობდა თანასწორობაზე, ძმობა-ერთობის დამყარებაზე.

— რატომ უნდა იყოს გლეხი დაჩაგრული, რატომ არ უნდა ჰქონდეს მასაც ადამიანური ცხოვრების უფლებები? ხშირად ჰკითხავდა ი. კოლელიშვილი თავის მეგობარს ვ. ჭაატაშვილს. ი. კოლელიშვილმა გადასწყვიტა დაეარსოს თავის სოფელში „კომუნა", სადაც უნდა სუფევდეს ნამდვილი ძმობა-ერთობა. იგი თურმე თავის მოურავს ს. ოხანაშვილს აგზავნიდა თვითეულ გლეხთან და წინასწარ იბარებდა სახლში. აქ, მის სახლში, კოლელიშვილი არწმუნებდა თვითეულ გლეხს, რომ ერთად ცხოვრება კარგია, გაერთიანებული ძალით ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ მოსპობს სიღატაკესა და შიმშილს.

გლეხებიც თანდათან რწმუნდებოდნენ და აი მოიწვიეს სოფლის ყრილობა. მათ ი. კოლელიშვილმა ასეთი სიტყვით მიმართა:

— დღეს იქნება თუ ხვალ ამ ქვეყნად ძმობა-ერთობა უნდა დამყარდეს. რაც უფრო ადრე იქნება ის—მით უკეთესია ჩვენთვის. მე ჩემი ქონება მთლიანად შემომაქვს კომუნაში, თქვენც შემოიტანეთ რაც გაქვთ, ერთად ვიცხოვროთ ჭირში და ლხინში. ვისაც კომუნა გინდათ, აი ამ განაჩენს მოაწერეთ ხელი!

„განაჩენზე" ხელის მოწერის სურვილი 40 კომლმა განაცხადა. მთელი ქონება „კომუნაში" გააერთიანეს და ერთად დაიწყეს მუშაობა. „კომუნამ" სულ რაღაც რვა თვე იარსება და როგორც მოსალოდნელი იყო დაიშალა კიდევაც, ხოლო ი. კოლელიშვილი მეფის მთავრობამ ხალხის აჯანყებისათვის და საეჭვო აზრების ქადაგებისათვის საზღვარგარეთ გააძევა.

ი. კოლელიშვილი ოცნებობდა უკეთეს ცხოვრებაზე, მაგრამ გზა, რომელიც მან აირჩია ამის მისაღწევად, მაშინდელი პირობებისათვის შემცდარი და მიუღებელი იყო. ახალი ცხოვრების შენების დაწყება საჭირო იყო არა „კომუნების" დაარსებით, არამედ თვითმპყრობელობის მოსპობით, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარებით, ახალი ცხოვრების შენება უნდა დაწყებულიყო რევოლუციით. აი სწორედ ამ ახალი ცხოვრების რევოლუციით შენებას ასწავლიდა ამხანაგი სტალინი ისე, როგორც ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს, კახეთის გლეხობასაც რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

სტალინური პროკლამაციების ძალა

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ 1905 წელს საქართველოს გლეხობიდან პირველად გურია-იმერეთის გლეხებმა აღიმაღლეს ხმა. როგორც ცნობილია, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს გლეხობის, განსაკუთრებით კი გურიის გლეხობის ბრძოლას, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი სტალინი, მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი. გურია-სამეგრელოს გლეხობის ამ საერთო ფერხულში პირველ ხანებში არ ჩანდა ქართლ-კახეთის გლეხკაცობა, აქ მხოლოდ ცალკე ეპიზოდურ გამოსვლას ჰქონდა ადგილი. კახეთში, ისე როგორც ყველგან, დამღუპველ მუშაობას ეწეოდნენ მენშევიკები.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელი იყო. კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელსაც **სტალინი** მეთაურობდა, იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართლ-კახეთის გლეხკაცობის ჩაბმას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს დაავალა გაეშალათ მუშაობა ქართლ-კახეთის გლეხკაცობაში.

1904 წლის დასასრულს კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია ქართლ-კახეთის გლეხკაცობისადმი და ამ პროკლამაციამ უდიდესი ისტორიული როლი ითამაშა როგორც ქართლში, ისე კახეთში რევოლუციური მოძრაობის გაშლა-განვითარებისათვის. ხოლო 1905 წლის მარტში კავკასიის კავშირის კომიტეტი სცემს მეორე პროკლამაციას ქართლ-კახეთის გლეხკაცობისადმი. პროკლამაცია ეკუთვნის ამხანაგ სტალინის კალამს. ამხანაგმა სტალინმა ამ პროკლამაციაში თვალი აუხილა ქართლ-კახეთის გლეხობას, შეიტანა მათში ბრძოლის უნარიანობა, ასწავლა თუ როგორ და რისთვის უნდა იბრძოდნენ ისინი.

პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

> „...ჩვენს გაჭირვებაში ქვაც კი ხმას ამოიღებს. დაფიქრდით აბა, ის, ვინც დედამიწას გული გაუხსნა და ზურმუხტათ აახავერდა, ვინც ტყეები გაჩეხა და სოფლები გააშენა, ვინც წელებზე ფეხს იდგამს და დღე მუდამ ოფლს იწურამს, ის ვინც ქვეყანას ძუძუს აწოვებს—ის ხალხი გლეხკაცობაა; და აი, სწორეთ ეს ხალხია დღეს სიღარიბესა და შიმშილობაში ჩავარდნილი. დიახ, მეტი მოთმენა შეუძლებელია, აქ ქვაც კი ხმას ამოიღებს. საჭიროა თითონ ხალხმა მოჰკიდოს თავის საქმეებს ხელი, რადგან **ხალხის განთავისუფლება თითონ ხალხმა უნდა მოახდინოს, და არა მეფეებმა.** და აი „დაიძრა სოფელი". გურიიდან დაწყებული ქიზიყამდე ყველგან ფეხზე დადგა გლეხკაცობა და ერთხმად გრიალებს. **ძირს ბატონ-ყმური წესები! ძირს მეფის მთავრობაო! მათ წინ მიუძღვის ქალაქის მუშები** და ასე სოფლისა და ქალაქის მშრომელნი, ერთ დიდ ჯარად გადაქცეულნი, სასტიკი იერიშით მიდიან „ძველი წესების" წინააღმდეგ. ქართლ-კახეთის გლეხებო! ჩვენც შევუერთდეთ ამ რაზმს, ჩვენც გავერიოთ მათს ფერხულში, მათთან ერთად ჩვენც დავცეთ მტერს ყიჟინა..."

აქვე ამხანაგი სტალინი ასწავლის გლეხობას თუ რა მოთხოვნებით უნდა გამოვიდნენ ისინი რევოლუციაში, რა საკითხები უნდა წამოაყენონ, რისთვის უნდა იბრძოლონ. ბოლშევიკ-აგიტატორების დახმარებით მთელს ქართლსა და კახეთს მოეფინა სტალინური პროკლამაციები. ისინი აღაგზნებდა მშრომელ გლეხობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, სტალინური პროკლამაციები უნერგავდა მას გამარჯვების რწმენას, უჩვენებდა მიზანს, აკავშირებდა მას მუშათა კლასთან, რომლის წინამძღოლობით მიდიოდნენ ერთად გადამწყვეტი იერიშებისათვის. სტალინურმა პროკლამაციებმა მთელს ქართლსა და კახეთში რევოლუციური ცეცხლის მძლავრი კერა დაანთო, მთელი ხალხი ფეხზე დააყენა.

1905 წლის 18 მარტის ნომერში გაზეთი „ცნობის ფურცელი" სწერდა: „თელავსაც დაჰბერა შავი ზღვიდან დასავლეთის სიომ და დიდი ხნიდან ჩვეული ძილი დაუფრთხო"... ქ. თელავში მყუდროება 12 მარტს დაირღვა. მთავრობის ოფიციალური გაზეთის „კავკაზის" სიტყვებით ამ დღეს ქალაქში უწესობა მოხდა. 500-მდე კაცმა თავი მოიყარა ბაზრის მოედანზე და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ „გაუმარჯოს თავისუფლებასა და ერთობას!". თოფიც გავარდა. მოიწვიეს ჯარისკაცები, რომლებსაც შეტაკება მოუხდათ დემონსტრანტებთან.

გლეხკაცობა განუდგა თავადაზნაურობას, ისინი ბოიკოტს აცხადებდნენ; გლეხებმა თავადებს ჩამოაცილეს შინამოსამსახურენი, პურის მცხობელები, მოურავები, მწყემსები; გლეხები მეფე-იმპერატორის სურათს საჯაროდ ხევდნენ და ამით ზიზღსა და აღშფოთებას გამოხატავდნენ მეფის მთავრობისადმი. გაზეთი „კავკაზი" ასე გადმოგვცემს სოფლებში შექმნილ მდგომარეობას:

28 მარტს სოფ. ურიათუბნის გლეხებმა თავი მოიყარეს სასწავლებლის ეზოში, გადააყენეს ტყის მცველები (ობიეზდჩიკები), მემამულეებს ჩამოართვეს ხელწერილი იმის შესახებ, რომ მათი მამული გლეხებს ეკუთვნის, დაადგინეს: — ყველამ, წოდებათა განურჩევლად, მიიღოს მონაწილეობა საზოგადო მუშაობაში, უფასოდ ისარგებლონ ტყეებითა და საძოვრებით.

30 მარტს სოფელ წინანდლის გლეხები მივიდნენ დილით საუფლისწულო მამულში, ცეცხლი წაუკიდეს თავად სულხან გიორგის-ძე ჭავჭავაძის ტყეს, საიდანაც ცეცხლი საუფლისწულო ტყეს მოედვა... მეორე დღის თავი მოიყარეს სოფ. ვანთის, ბუშეთის, ქვემო ხოდაშნისა და წინანდლის გლეხებმა, რიცხვით ორი ათასამდე კაცმა, აატრიალეს ორი წითელი დროშა, შეჰფიცეს ერთმანეთს ერთობა, მივიდნენ წინანდლის სასოფლო სამმართველოსთან, გამოიტანეს გარეთ ხელმწიფე იმპერატორის სურათი, დაკეტეს სოფლის სამმართველო. ჩამოართვეს სოფლის მოხელეებს ნიშნები და უბრძანეს ჩვენ საქმეში ნურაფერს გაერევითო.

ამის შემდეგ ხალხი მიუახლოვდა საუფლისწულო მამულის რკინის კარებს, სადაც დაუხვდა ამ მამულის გამგე, რომელსაც მუქარით მოსთხოვეს პირობაზე ხელი მოეწერა, რაიც მან აასრულა. ამის შემდეგ ხალხი „ურას" ძახილით გაემართა სოფ. ქვემოხოდაშენსა, ბუშეთსა და ვანთისაკენ, სადაც პირობაზე ხელისმოწერა მოსთხოვა მემამულეებს. მთავარმმართებლის განკარგულებით თელავის მაზრაში გაიგზავნა ცხენოსანთა რაზმი.

გლეხთა ამბოხებამ თელავის ყოფილ მაზრაში გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ერთერთი გაზეთი სწერდა: „გარბის დღეები, კვირეები და არსად ჩანს მემამულეებთან ჩვეულებრივ ჭრიალით მიმავალი ძნის ურმები. აღარ ისმის მათ კალოზე ოროველას ძახილი და შოლტის ტყლაშუნი. ბრაზი მოსდის, ყელში სისხლი აწვება და არ სჯეროდა თავადს, რომ ასეთი საქმე დაემართა". აჯანყებული გლეხები მოითხოვდნენ წოდებათა გაუქმებას, გადასახადების მოსპობას, „ჩამონაჭრების" დაბრუნებას და სხვ.

მეფის თვითმპყრობელობამ სოფლებში ყაზახები ჩააყენა გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობლად. თელავის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს შეშინებული სწერდა: „25 ამა ოქტომბერს ქ. თელავში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. დახურულია ყველა მაღაზია, დუქანი, სავაჭრო დაწესებულებანი, სასწავლებლები, ფურნეები და სხვ. დღეს, 26 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, თავი შეიყარა 800 მანიფესტანტმა, მათ შეუერთდნენ 1 უბნის ახალწვეულნი; მანიფესტანტები დადიოდნენ ქუჩაში წითელი დროშებით, მღეროდნენ „მარსელიეზას" და იძახდნენ: „ძირს" თვითმპყრობელობა, ქალაქის მოედანზე წარმოთქმულ იქნა საგიტაციო ხასიათის რამდენიმე სიტყვა და იქვე ჰყრიდნენ პროკლამაციებს. ხმები დადის, რომ სამაზრო სამმართველოს ბომბით აფეთქებას უპირებენო"...

სოფლებში გამართა ტერორი. თელავის მახლობლად იდგა ბაშკადიკლარის ქვეითა ბატალიონი, რომელიც მუსრს ავლებდა რევოლუციონერებს; მაგრამ კავკასიის კავშირის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი **სტალინი**, ჯარისკაცებს შორის გაიშალა უდიდესი მუშაობა; ამხანაგმა **სტალინმა** ბაშკადიკლარის ჯარისკაცებს სპეციალური პროკლამაციით მიმართა. ჯარისკაცებში მოწყობილ იქნა რევოლუციური კომიტეტები. ყოველივე ამის შედეგად ჯარისკაცებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობაში. მათ 1905 წლის ნოემბერს გაფიცვაც გამოაცხადეს და მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები წამოაყენეს. „რუსეთის ცარიზმი—სწერს ამხანაგი ლ. პ. ბერია—სასტიკად იძიებდა შურს ამიერ-კავკასიაზე, როგორც რევოლუციის ერთერთ უძლიერეს კერაზე".

გასაგები მიზეზების გამო გლეხთა მოძრაობა დამარცხდა. იგი დამარცხდა თელავშიც. მაგრამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ისე, როგორც ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს, კახელებსაც არ დაუკარგავთ გამარჯვების იმედი...

მზის ამოსვლისას...

„ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში მზის ამოსვლას უნდა უცქიროს, როდესაც ოქროს სხივი ეხვევა მთელ ველს და ალაზანი ბრწყინავს, როგორც ვერცხლისფერი ზონარი!"—სწერდა არტურ ლეისტი. მაგრამ კახეთის ამ სილამაზის ყველაზე მძაფრად განცდა მხოლოდ დღეს შეიძლება, როდესაც მშვენიერია არა მარტო ბუნება, არამედ თვით ცხოვრებაც, როდესაც ადამიანი კი არ კვნესის არამედ სტკბება ამ სილამაზით, იგი შეჰხარის მზეს და სიყვარულს! დამყარდა ნამდვილი ჰარმონია ბუნების სილამაზისა და ცხოვრებას შორის!

აი გულგულელი კოლმეურნეები. მათ თავი მაღლა მხოლოდ დღეს ასწიეს. ნამდვილი ძმობა-თავისუფლება გულგულაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოიტანა. შეიქმნა ნამდვილი კოლმეურნეობა და მოისპო კულაკობა.

ცხოვრება საამური გახდა. სტალინური საკოლმეურნეო წესდების ურყევად გატარების საფუძველზე კოლმეურნეთა შრომის ბარაქამ ერთიორად იმატა. თელავის რაიონის 12 კოლმეურნეობა და რაიონის 138 მოწინავე ადამიანი 1939 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. თელავის რაიონის სტახანოველმა კოლმეურნემ დ. მაჩაბლიშვილის ოჯახმა მარტო ფულად 5000 მანეთზე მეტი მიიღო, დ. შავხელიშვილმა—4500 მანეთი და ა. შ. კოლმეურნეებმა, რომლებსაც წინათ ხეირიანი საცხოვრებელი ბინები არ გააჩნდათ, ქვითკირის სახლები აიშენეს. მათ შორის ბევრია ყოფილი მოჯამაგირეები.

გაჰქრა სიღატაკე და მათხოვრობა. დღეს კახელები ამაყად შეჰყურებენ ამომავალ მზეს და მღერიან:

„რა შეაჩერებს დილის მზეს,
მზეს ამომავალს ზვიადსა,
რა შეაჩერებს ბელადო
შენს საქმეს, უკვდავს დიადსა!"

კ. აკბარდია

ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს თემთა პალატის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ჩემბერლენმა.

ჩემბერლენმა განაცხადა: ეს არის მივიღე ცნობა გააფთრებული ბრძოლის შესახებ, რომელიც მოხდა დღეს დილით ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებსა და გერმანიის საზღვაო ძალებს შორის ნარვიკის მახლობლად. ინგლისის 5 საესკადრო ნაღმოსანი, განაცხადა ჩემბერლენმა, შევიდა ფიორდ-ნარვიკში და იერიში მიიტანა გერმანიის 6 საესკადრო ნაღმოსანზე. გერმანიის საესკადრო ნაღმოსნებს დაეხმარნენ სანაპირო ბატარიები და ქვემეხები, რომლებიც ამას წინათ ნაპირზე დაიდგა. ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „ჰანტერი" ჩასძირეს. მეორე საესკადრო ნაღმოსანი „ჰარდი" იმდენად სერიოზულად დაზიანდა, რომ იძულებული გახდა ნაპირზე გარიყულიყო. მესამე საესკადრო ნაღმოსანი „ჰოტსპური" სერიოზულად დაზიანდა. მეოთხე საესკადრო ნაღმოსანი „ჰოსტაილი" მსუბუქად დაზიანდა. ინგლისის მეხუთე საესკადრო ნაღმოსანი „ჰავოკი" სრულებით არ დაზიანებულა.

გაცხარებული ბრძოლის შემდეგ ინგლისის ორმა დაზიანებულმა საესკადრო ნაღმოსანმა მესამის მფარველობით უკან დაიხია, გერმანიის ერთი 1600 ტონა წყალწყვიანი საესკადრო ნაღმოსანი ტორპედირებულ იქნა და, როგორც ფიქრობენ, ჩაიძირა. სამი სხვა საესკადრო ნაღმოსანი სერიოზულად დაზიანდა. გარდა ამისა,—განაცხადა ჩემბერლენმა, „6 სავაჭრო გემი, რომელთაც როგორც ფიქრობენ, იარაღი მიჰქონდათ გერმანიის საექსპედიციო ძალებისათვის, ჩასძირეს ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებმა. ინგლისის უკან გაბრუნებული საესკადრო ნაღმოსნები შეხვდნენ გერმანიის გემ „რაუენფელდს", რომელსაც დამატებითი სამხედრო საჭურველი მიჰქონდა გერმანიის საექსპედიციო ძალებისათვის. ეს გემი ააფეთქეს.

დასასრულ ჩემბერლენმა სთქვა, რომ ხვალ არ იქნება თემთა პალატის საიდუმლო სხდომა, რომელზედაც უნდა განეხილნათ ეკონომიური ომის წარმოების საკითხი. ნაცვლად ამისა ხვალ გაიმართება კამათი ამ უკანასკნელი ამბების შესახებ და ომის საერთო წარმოების გამო.

შვეციის მთავრობის პასუხი გერმანიის მემორანდუმზე

ბერლინი, 10 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ 9 აპრილს, დილით, მემორანდუმი გაუგზავნა შვეციის მთავრობას. გერმანიის მთავრობა თავის მემორანდუმში წინადადებას აძლევს შვეციის მთავრობას უპასუხოს, თუ რა პოზიციას დაიკავებს იგი გერმანიის ღონისძიებებისადმი დანიასა და ნორვეგიაში. შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა 9 აპრილს, საღამოს, ამ მემორანდუმის პასუხი ჩააბარა გერმანიის დესპანს სტოკჰოლმში. თავის პასუხში შვეციის მთავრობა აცხადებს, მე წინანდებურად დავიცავ ნეიტრალიტეტის ტრადიციულ პოლიტიკას და არა მაქვს განზრახვა გადავდგა რაიმე ნაბიჯი, მიმართული გერმანიის ღონისძიებათა წინააღმდეგ დანიასა და ნორვეგიაში. შვეციის მთავრობა თავის პასუხში ხაზგასმით აღნიშნავს, არა მაქვს განზრახვა გავატარო ისეთი ღონისძიება, რომელმაც შეიძლება გერმანიისა და შვეციის კონფლიქტი გამოიწვიოსო.

სატელეფონო კავშირის აღდგენა ოსლოსა და სტოკჰოლმს შორის

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს ოსლოსა და სტოკჰოლმს შორის აღდგენილ იქნა სატელეფონო კავშირი.

საჰაერო მიმოსვლა ამსტერდამსა და სკანდინავიას შორის შეწყვეტილია

ბერლინი, 10 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ამსტერდამიდან გადმოგვცემს, რომ საჰაერო მიმოსვლა ამსტერდამსა და სკანდინავიის ქვეყნებს შორის შესწყდა ჩრდილოეთში მომხდარ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით.

კანადის პრემიერის მომავალი შეხვედრა რუზველტთან

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, კანადის პრემიერ-მინისტრი მაკენზი კინგი უახლოეს დღეებში ეწვევა რუზველტს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრის დროს განხილულ იქნება საკითხი, თუ „რა დახმარების გაწევა შეუძლიათ ამერიკის შეერთებულ შტატებს კანადისათვის ამ უკანასკნელის სამხედრო ღონისძიებათა გატარებაში".

ინგლისის ფასიანი ქაღალდების კურსის შემდგომი დაცემა

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ლონდონის ბირჟაზე მკვეთრად ეცემა ინგლისის მთავრობის ფასიანი ქაღალდების კურსი.

რუმინეთის ხელისუფლებამ დააკავა ინგლისის გემები დუნაიზე

ბუქარესტი, 10 აპრილი (საკდესი). ყველა გაზეთი ათავსებს ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ ჯურჯუში დაკავებულ იქნა ინგლისის ერთი კარჯაპი, „რომლის ტვირთიც არ შეეფერებოდა განცხადებულს". ჟურნალისტთა წრეებში ამტკიცებენ, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ დააკავა აგრეთვე ინგლისის სამი გემი, რომლებიც დუნაიზე აღმა მიდიოდნენ. ამ გემებზე აღმოაჩინეს ფეთქებადი ნივთიერებანი და ორი თვითმფრინავი. ეს ტვირთი გემის დოკუმენტებში არ იყო აღნიშნული. მან კონფისკაცია უყვეს და 16 სატვირთო ავტომობილით წაიღეს. დაკავებულია ეკიპაჟის 108 კაცი. მათ შორის, როგორც აღნიშნავენ, არიან მეზღვაურები, მესანგრეები, მფრინავი ოფიცრები, რომელთაც მიცემული ჰქონდათ ამოცანა მოეხდინათ აფეთქება დუნაის ვიწრო ალაგას, რათა დუნაიზე ნაოსნობა შეუძლებელი გაეხადათ.

ინგლისის მშრომელნი პროტესტს აცხადებენ საფრანგეთის სასამართლოს მიერ კომუნისტ დეპუტატებისათვის გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). საფრანგეთის პარლამენტის კომუნისტ დეპუტატებისათვის გამოტანილმა მკაცრმა განაჩენმა აღაშფოთა ინგლისის საზოგადოებრივი აზრი. საფრანგეთის საელჩოს ლონდონში ინგლისის ყოველი კუთხიდან მოსდის უამრავი რეზოლუცია, რომლებშიც მრავალი მუშური და სხვა ორგანიზაცია პროტესტს აცხადებს განაჩენის წინააღმდეგ.

მანჩესტერიდან მიღებული ცნობით, იქ ამ დღეებში შესდგა მუშათა მასობრივი მიტინგი. მიტინგმა აირჩია დელეგაცია, რომელსაც საფრანგეთის საკონსულოსათვის უნდა გადაეცა წერილი, სადაც გამოთქმული იყო პროტესტი განაჩენის წინააღმდეგ. პოლიციამ დელეგაცია საკონსულო შენობასთან არ მიუშვა, რის გამო წერილი ფოსტით გაიგზავნა. მასობრივი საპროტესტო მიტინგი გაიმართა აგრეთვე ინგლისის მეორე დიდ სამრეწველო ცენტრში—ნიუ-კასლში. აქაც არჩეულ იქნა დელეგაცია საფრანგეთის საკონსულოსათვის საპროტესტო რეზოლუციის გადასაცემად.

ანალოგიური რეზოლუციები, რომლებიც ჰგმობენ კომუნისტთა დევნას საფრანგეთში და საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატ კომუნისტებისათვის გამოტანილ განაჩენს, მიიღეს ლეიბორისტულმა ორგანიზაციებმა კარდიფში, დერბის (ამავე სახელწოდების საგრაფოს მთავარი ქალაქი) მანქანათმშენებელ მუშათა გაერთიანებული ნაციონალური პროფკავშირის საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა, პროფკავშირმა, რომელშიც გაერთიანებულია 9 ათასი კვალიფიციური მანქანათმშენებელი მუშა, კაუდენბიტის (შოტლანდია) კოოპერატიული კავშირის ორგანიზაციამ, კაუსის (კუნძული უაიტი, სამხრეთ ინგლისი) ჩიზუიკის, ნორტ ვულვიჩის (ლონდონი) და სხვ. მანქანათმშენებელ მუშათა გაერთიანებული ნაციონალური პროფკავშირის განყოფილებებმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრედიტებულ ინგლისის ელჩის ლოტიანის განცხადება

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ლოტიანი ესაუბრა უელესს კანადაში კონტრაბანდის საკონტროლო პუნქტის შექმნის პროექტის შესახებ.

ინგლის-საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომა

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ, ლონდონში შესდგა ინგლის-საფრანგეთის სამხედრო საბჭოს მეშვიდე სხდომა. სხდომა შეეხებოდა იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ნორვეგიასა და დანიაში გერმანიის ჯარის შესვლის შედეგად.

უმაღლესმა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მთელ რიგ სამხედრო და დიპლომატიურ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უახლოეს ხანში უნდა განხორციელდეს.

ბელგიის მინისტრთა საბჭოს სხდომა

პარიზი, 10 აპრილი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, დღეს, დილაადრიან ბელგიის პრემიერი პიერლო გაემგზავრა სასახლეში, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მეფესთან. ამის შემდეგ 10 საათზე დაიწყო მინისტრთა საბჭოს სხდომა.

დანიის რიქსდაგის სხდომა

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ შესდგა დანიის რიქსდაგის სხდომა, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა სტაუნინგმა.

სტაუნინგის განცხადებით, ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს იმის შესახებ, რომ ახალი მთავრობა შეიქმნას უფრო ფართო საფუძველზე. მთავრობაში მონაწილეობის თანხმობა ყველა პარტიამ განაცხადა.

დაპატიმრება პარიზში

პარიზი, 10 აპრილი (საკდესი). პრესა იუწყება, რომ „კომუნისტურ არალეგალურ საქმიანობასთან დაკავშირებით" პარიზის ჩრდილო გარეუბნებში და დასავლეთ ნაწილში პოლიციამ მთელი რიგი დაპატიმრება მოახდინა. დაპატიმრებულთა შორის არიან ანრი უანენი, ანდრე კარი, ფორი და კიდევ 19 კაცი, რომელთაც ბრალად ედებათ კომუნისტური პროპაგანდა. უანენი 1939 წლის სექტემბრამდე ვილნეფ სენჟორჟის გარეუბნის მერი და სენისა და უაზის დეპარტამენტის გენერალური მრჩეველი იყო.

მოხსენებები

○ **12 აპრილს, დღის 12 საათზე**, საქ. ინდუსტრიულ ინსტიტუტში შესდგება ორი მოხსენება თემაზე: „მაღქვის შლამებისა და ღარიბი მადნების გამოყენება". მომხსენებლებად გამოვლენ პროფ. ვ. კაკაბაძე და პროფ. რ. ნიკოლაძე. მოხსენებების შემდეგ გაიმართება დისკუსია, რომელზედაც მოწვეული არიან მეცნიერი მუშაკები და სტუდენტები.

○ **13 აპრილს, დღის 1 საათზე**, მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ. № 3) შესდგება ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის შ. ძიძიგურის მოხსენება თემაზე — „სიტყვათ-სესხების ძირითადი პრინციპები". დასწრება თავისუფალია.

13 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა. პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში ყოველდღიურად სწარმოებს კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს".

კონსულტაცია სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ტრავიატა", რუსთაველის სახელობის — „გმირთა თაობა", მარჯანიშვილის სახელობის — „მზის დაბნელება საქართველოში", მუსკომედია — „ესპანელი მღვდელი".

კინოებში: რუსთაველის სახ. — „მეზღვაურნი", ოქტომბერი — „დიდი ცხოვრება", დამკვრელი — „მეზღვაურნი", კომკავშირელი — „წყნარი დონი", სპარტაკი — „გამანადგურებლები", ლუქსემბურგის სახ.— „არინკა", 26 კომ. სახ. — „გამანადგურებლები", კომინტერნი — „გამანადგურებლები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ცოლი ანა, შვილები პუცხა, ედემი, პეტრე, ნუცა, არსენ, სიძეები ერმილე, ამბაკო, აკაკი იუწყებიან საყვარელ
ათანასე (ბურდღუ) ბაგირის-ძე შარიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/IV ქ. გალში. 5974

ა. რაფავა, ა. თოფურიძე, რ. კვირკველია, კ. ბერიშვილი, ა. გუგუჩია, ვ. კვირიკაშვილი, ნ. რუხაძე, ზ. გოგია, გ. მიჩურინი, ი. ნიბლაძე, ა. ქვლივიძე, ბერულავა იუწყებიან პეტრე ათანასეს-ძე შარიას მამის
ათანასე ბაგირის-ძე შარიას
გარდაცვალებას. 5982

ლ. პ. ბერიას სახ. ა.-კ. რკინიგზის შინსახკომის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების თანამშრომლები დალიანიძე, ბეჟანოვი, საატსაზოვი, ნონიკოვი, ჭანტურია, ჯოჯუა, ცაგურია, გალდავა, ხუშოიანი, მელიქოვი, შეიკომესკი იუწყებიან პეტრე ათანასეს-ძე შარიას მამის
ათანასე ბაგირის-ძე შარიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/IV ქ. გალში. 5981

სპირიდონ შარია, მარო ბეჟუაშვილი, კრისტინე, ალიოშა ქუთელიები, ლეო კვარაცხელია იუწყებიან პეტრე შარიას მამის
ათანასე (ბურდღუ) შარიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გალში 13/IV. 5970

სტალინის სახელობის თ. ს. უ. ასპირანტები: კ. აკბარდია, გ. ცხაკაია, შ. ფარულავა, გ. პატარაია, კ. ლომინაძე, ა. შურღაია იზიარებენ პროფ. პეტრე შარიას მწუხარებას მისი მამის
ათანასე შარიას
გარდაცვალების გამო. დასაფლავება გალში, 13 აპრილს.

მაჭარაშვილი, ინასარიძე, სარქისოვა, ნორაკიძე, საყვარელიძე, გოგოლაშვილი, კალანდაძე, ჯორჯაძე, შარაბიძე, ლომჯარია, იაკობაშვილი, გოცაძე, ქილაძე იუწყებიან ვასო ნადირაშვილის შვილის
თეიმურის
გარდაცვალებას. 5979

მიშა ბერიშვილი ცოლით ვალენტინათი, შვილით ჯუმბერით იუწყებიან საყვარელ
კოკი ნიკოლოზის-ძე ბუკიას
გარდაცვალებას. 5976

უახლოესი მეგობრები გ. კუპრავა, შ. ბალავაძე, შ. ედიბერიძე, ლ. ჭავჭავაძე, კ. ქეიშვილი, ალ. კაციტაძე, ი. კვიტაშვილი, ს. კოპალეიშვილი, ს. მეგრელიძე, ნ. ძამაშვილი, ლ. შაროშენიძე იუწყებიან
მიტო ბაქოს-ძე ჟანჩაველის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/IV 1 ს. ბარნოვის, 100 (ვაკე). 5967

ე. ლასხიშვილი, თ. გაჩეჩილაძე, ქ. გოგოლაშვილი, ქ. ცერეკიძე, ს. ნადარეიშვილი, მ. ხერხეულიძე, გ. ჟუჟუნაშვილი, პ. ზერაშვილი, ნ. კეჟბიძე, გ. გაბრიძე, შ. ჯაფარიძე, ლ. ქაჯაია, პ. გოგუაძე იუწყებიან ლელინო პაპავას დედის
ანეტა ეგნატეს-ასულ პაპავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში 12/IV. 5960

დედა ფედოსია, მეუღლე ნინო, დები გოგუცა, ქეთო, მინო, თამარ, ძმა ბიჭიკო ცოლით ხორავები იუწყებიან
ლეო ლავრენტის-ძე ხორავას
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IV 5 ს. პლეხანოვის, 172, კუკიის სასაფლაოზე. 5975

ძმები ესაია, ივანე, და მატრონა, რძალი დარიკო, ძმისწულები პიროსი, ვალიკო, ანუშა დვალები, ანტონ ჯიბლაძე ცოლშვილით იუწყებიან საყვარელ
ალფეზ (ალექსი) მარკოზის-ძე დვალის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/IV 4½ ს. ძნელაძის ქ. 19, კუკიის სასაფლაოზე.

ორჯონიკიძის სახ. რაიგან. განყოფილების საბავშვო ბაღების მუშაკები ერისთავი, იმედაშვილი, მეიფარიანი, გერსამია, ქლიფთარი, მაისურაძე, ნათიშვილი, კირიაკოვა, შიოლაშვილი, მგალობლიშვილი, ნ. როსტიაშვილი, მ. ეფრემიძე იუწყებიან ვასო ნადირაშვილის შვილის
თეიმურის
გარდაცვალებას. 5943

დედა კესა, ცოლი ნადია, შვილი ფილიქსი, და ლიუდი, ძმები უშანგი, რუბენ, სევასტი, გრიგოლ იუწყებიან უფროს ლეიტენანტ
ვარდენ ვასილის-ძე გრიგოლიას
გარდაცვალებას. 5980

ლელინო პაპავა-გეგეჭკორისა, ვასო გეგეჭკორი შვილით კარლოთი იუწყებიან დედის
ანეტა ეგნატეს-ასულ პაპავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/IV სამტრედიაში, მოლოტოვის, 48. 5966

მშობლები ელენე, ნიკა, ძმა უშანგი, და ქეთო, სიძე არჩილ ნატროშვილი, ბიცოლა ოლღა ჩიგატაშვილი შვილებით, დეიდაშვილი ქეთუშა ლაზარაშვილი ცოლით კატოთი იუწყებიან
ვალიკო დონჯაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IV 5 ს. რიყის, 24. 5964

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3-06-88, განყოფილებები სა. პარტიულის—3-57-61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოს—3-73-40 ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3-80-83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3-80-84, წერილების—3-73-24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელ ნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 199